ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 3724054001**
თარიღი:**23/02/2024**

დასკვნა

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ" განიხილა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების საკითხი და აღნიშნავს:

1, პროექტები მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია-ექსპლოატაციას.

2, წარმოდგენილი პროექტით განხორციელდება სოფელ ნატანებში, 720 გრძივი მეტრი შიდა სასოფლო გზის (N15 ქუჩა) რეაბილიტაცია (ღირებულებით 453 750 ლარი). ასევე განხორციელდება სოფელ გურიანთაში 972 გრძივი მეტრი შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (ღირებულებით 383 370 ლარი).

აღნიშნული პროექტები მნიშვნელოვანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის. განხორციელდება ექსპლოატაციისათვის ფაქტობრივად უვარგისი გზის რეაბილიტაცია. აღმოიფხვრება დისკომფორტი, რომელიც მოსახლეობას აქვს მოუწესრიგებელი გზის გამო.

კომისია მხარს უჭერს ზემოთ აღნიშნული პროექტების მოწონების საკითხს საკრებულოს სხდომაზე.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი